საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

19/02/2025

MES 7 25 0000170971

გადაწყვეტილება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და

დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. ვიზიტის ბრძანება: №1071692, 05.09.2024

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ **"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 05 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა **"საჯარო მმართველობის" 180 და 240 კრედიტიანი საბაკალავრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 19 თებერვლის №170963 სხდომის ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.3

რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დაადგინოს სწავლის შედეგების შეფასების მკაფიო კრიტერიუმები.

კომპონენტი 1.4
რეკომენდებულია, პროგრამები გახდეს მეტად მოქნილი და სტუდენტზე ორიენტირებული, სავალდებულო კრედიტების რაოდენობის შემცირებით და პროგრამებში სპეციალობაზე დაფუძნებული არჩევითი კურსების შეთავაზების/არჩევის შესაძლებლობების გაზრდით.

კომპონენტი 1.5
რეკომენდებულია, ზოგიერთი სილაბუსის (ქვემოთ მითითებული) გადახედვა კურსის კრედიტების მოცულობის სწორად განსაზღვრის მიზნით (მათი გაზრდა ან შემცირება), რაც უნდა ეფუძნებოდეს კურსის შინაარსის, სწავლებისა და შეფასების აქტივობების, დავალებების რაოდენობისა და სირთულის, საგანმანათლებლო რესურსების რეფლექსიურ ანალიზს

კომპონენტი 2.2
რეკომენდებულია, პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა მემორანდუმში მიეთითოს სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებაზეც თანახმაა ორგანიზაცია.

კომპონენტი 5.3
რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, კერძოდ, პროგრამებისა და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა გამოავლინოს და თავიდან აიცილოს უზუსტობები სავალდებულო ლიტერატურაში, სწავლა-სწავლების მეთოდებში, ასევე შეფასების მეთოდებში, შეფასების რუბრიკებში, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების შემუშავების პროცესში და ა.შ.

• რეკომენდებულია, რომ პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი შეფასებისთვის, გამოიყენოს მესამე დონის (გაძლიერების დონის) სასწავლო კურსების შეფასების ის კონკრეტული კომპონენტი/აქტივობა, რომელიც უშუალოდ ზომავს მოცემულ სწავლის შედეგს.

პროგრამის რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.5
რეკომენდებულია, გადაიხედოს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსები, კრედიტების მოცულობისა და შესაბამისი საათების განაწილების მიზნით. ეს უნდა ითვალისწინებდეს კურსის მიზნებსა და დასახულ სწავლის შედეგებს, სასწავლო თემატიკას, შესასრულებელი დავალებების ინტენსივობას, მოცულობასა და სირთულეს, სასწავლო რესურსების მოცულობასა და სირთულეს, და მიღწევების შეფასების სპეციფიკას.

რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები და განახლდეს ლიტერატურა, საგანმანათლებლო საფეხურის, კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად, ასევე გამდიდრდეს კურსები უახლესი სამეცნიერო -კვლევითი პუბლიკაციებით.

რჩევები კლასტერისთვის:

კომპონენტი 1.3
სასურველია კვლევითი უნარები და თვითგანვითარების მექნიზმები უფრო მკაფიოდ აისახოს პროგრამების სწავლის შედეგებში, ეროვნულ სტანდარტების გათვალისწინებით.

კომპონენტი 1.4
სასურველია, გადაიხედოს და განახლდეს პროგრამების შინაარსისაჯარო მმართველობის/ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული უახლესი ტენდენციებისა და განვითარების გათვალისწინებით.

სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს თავისუფალი/არჩევითი კურსების არჩევის პროცედურები.

კომპონენტი 1.5

სასურველია, გადაიხედოს ზოგიერთი სილაბუსი (ზემოთ მითითებული) ლიტერატურის განახლების/გამდიდრების მიზნით, უახლესი ან შესაბამისი პუბლიკაციების დამატებით.

სტუდენტების შეფასებასთან და მიღწევებთან დაკავშირებული გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ქულების განაწილება ზემოთ აღნიშნულ სილაბუსებში.

კომპონენტი 2.3
მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესგანათლების მიმართულებით არსებობს შინაარსობრივი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც სილაბუსები ძირითადად ითვალისწინებს, უნივერსიტეტი ქართულ კონტექსტს მეტად უნდა აანალიზებდეს. მაგალითად, კურსის „ინვესტიციების მართვა“ (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა) ფარგლებში, ერთი კვირა ეთმობა „ნიუ-იორკის საფონდო ბირჟას“, „საქართველოს საფონდო ბირჟა“ კი სილაბუსში არ არის გათვალისწინებული.

კომპონენტი 2.4
სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს ცნობადობა როგორც შეფასების გასაჩივრების მექანიზმების, ასევე პლაგიატის შესახებ.

რჩევები პროგრამისთვის:

კომპონენტი 1.2
სასურველია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისა და თვითგანვითარების დაგეგმვის საკითხები უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული სწავლის შედეგებში.

კომპონენტი 1.4
სასურველია, თანამედროვე ციფრული ბიზნესგარემოს მოთხოვნების შესაბამისი ტექნოლოგიური ტენდენციების გათვალისწინება და პროგრამის შინაარსის გამდიდრება ისეთი თემებით/კურსებით, რომლებიც უკავშირდება სწრაფად ცვალებად, გლობალურ ბიზნესს.

კომპონენტი 1.5
სასურველია, კურსების გამდიდრება ისეთი თემებით/საკითხებით, რომლებიც უკავშირდება ბიზნესინდუსტრიასა და მომიჯნავე სფეროებს (კერძოდ, ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული მარკეტინგი, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ოპერაციები, ხელოვნური ინტელექტი ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვაში და სხვ.)

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 05 თებერვალს.

6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 05 თებერვალი.

4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ